ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1163106

ნომერი: AR1202519

თარიღი : 07.03.2014

გაცემის თარიღი : 11.03.2014

გაცნობის თარიღი : 11.03.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აბაშიძე , N 21ა / ქალაქი თბილისი , ირაკლი აბაშიძისა და არაყიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე (ნაკვეთი 16/024);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ინასარიძე პ/ნ 01017001114
- თბილისი ზ.ფალიაშვილის ქ. N 40 ბ. 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახუმა განიხილა თქვენი 2014 წლის 07 მარტის #

AR1202519 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ამავე სამსახურის 28.02.2014 წლის #1148263 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ თქვენი განაცხადი არასწორად იქნა დარეგისტრირებული ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში ტექნიკური ხარვეზის გასწორების ველში. ვინაიდან პროექტის შეთანხმების სტადიაზე თავად განმცახდებლის მიერ იქნა არასწორად მითითებული ფართების ციფრობრივი მაჩვენებელი, თქვენს განცხადებაში მითთებული შეცდომის გასწორება საჭიროებს 28.02.2014 წლის #1148263 ბრძანებაში ცვლილების შეტანას. აღნიშნული განაცხადის საფუძველზე მოგეცემათ ნომენკლატურის შეცვლის შესაძლებლობა, რის შემდეგაც განაცხადი უნდა დაარეგისტრიროთ შემდეგი თანმიმდევრობით: „სამარლებრივი საკითხები“ , „ ცვლილება ადმინისტრაციულ – სამართლებრივ აქტში“.

ამასთან გაცნობებთ, რომ პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოდგენილი გრაფიკული ნაწილის დაჯამების შედეგად მიღებული საზაფხულო ფართობი არ შეესაბამება ამ ეტაპზე თქვენს მიერ მითითებულ ფართს – 478.8 კვ.მ.–ს. შესაბამისად, საჭიროა წარმოადგინილ იქნეს დეტალური განმარტებითი ბარათი, სადაც მითითებული იქნება გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები.